ახალი ხარაგაული

401 (9) 27 ივნისი, 2019 წ.

ხარაგაულის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, განცხადება სტიქიის ზონაში არსებულ ვითარებაზე

ხარაგაულში ივნისის თვეში მოსულმა უხვმა ნალექმა ჩვენი მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი მნიშვნელოვნად დააზიანა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სტიქიის ზონაში სალიკვიდაციო სამუშაოები მყისიერად დაიწყო. მინდა, სოფელ ლეღვნის მოსახლეობას ვაცნობო, რომ დაზიანებული ცენტრალური გზის აღსადგენად პროექტი მზადაა, სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო თანხა 265 000 ლარს შეადგენს. მომზადებული პროექტი ხარჯთაღრიცხვით გაიგზავნება ინფრასტრუქტურის სამინისტროში, საიდანაც მივიღებთ დაფინანსებას. ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმდება მეწარმესთან და სამუშაოები დაუყოვნებლივ დაიწყება. ამ პროცედურებს ჯერ კიდევ სჭირდება ერთი კვირა. ჩვენ კარგად ვიცით, ამ დროში რა პირობებში გიწევთ გადაადგილება, თუმცა აუცილებელი იყო მომზადებულიყო პროექტი, რომლის თანახმადაც გზა საფუძვლიანად შეკეთდება. ადგილობრივ თვითმმართველობას თავიდან ბოლომდე გაცნობიერებული აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე. სამწუხაროდ, 10 დღეში სამჯერ განმეორდა სტიქია. ძლიერი წვიმის შედეგად მოვარდნილმა ღელეებმა და ღვარცოფებმა 30-მდე

სოფელში დააზიანა, როგორც ცენტრალური, ასევე საუბნო გზები, წაიღო ხიდები და ხიდ - ბოგირები. საერთო ზარალმა 5 მილიონ ლარს მიაღწია. დაუყოვნებლივ შემოვიყვანეთ დამხმარე ტექნიკა, როგორც კომპანია „black sea group - დან," ისე მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან, სოფლებში დაზიანებული მონაკვეთების და სანიაღვრე არხების გაწმენდა დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. ხარაგაულის მერიასა და შესაბამის სამსახურებს კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში ერთი საათი არ დაუკარგავთ რეაგირების გარეშე. პირველივე სტიქიის ღამეს მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავედით და რამდენიმე ლოკაციაზე ერთდროულად გვიწევდა სასწრაფო ზომების მიღება. თითქმის ყოველდღე მივდიოდით სტიქიის ზონაში, ვხვდებოდით მოსახლეობას და ადგილზე ვეცნობოდით ზარალს. რაც შეეხება ხიდების, ხიდ - ბოგირების და სხვა ინფრასტრუქტურის აღდგენას, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებულია 220 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება პროექტების შეძენაზე. ყველაფერს ვაკეთებთ და პირადად ვაწარმოებ სიტყვიერ მოლაპარაკებებს შესაბამის უწყებებთან და ფონდებთან, რათა შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია.

7 ივნისის სტიქიით ლეღვნის წყლის მთავარი მაგისტრალის დაზიანებიდან გამომდინარე, დაბა ხარაგაულის მოსახლეობას წყალი 3 დღის განმავლობაში არ მიეწოდებოდა. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი მუშაობითა და დიდი ძალისხმევით, რამდენიმე დღეში აღდგა ალტერნატიული სატუმბი სადგური, რის შემდეგაც ხარაგაულის მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდება. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პატარა ხარაგაულში ახალი ჭაბურღილის მოსაწყობად, რომელიც ერთ თვეში დასრულდება და მოსახლეობის წყალმომარაგება უფრო სისტემატური გახდება.

სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა შეექმნა სოფელ დიდვაკესა და საღანძილეს. დიდვაკეში, მოსახლეობის ინიციატივით, მოიძებნა ძველი ავზი, რომელიც წლების წინ დიდვაკის გრეხილი ავეჯის ფაბრიკას ამარაგებდა სასმელი წყლით. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად ადგილზე დათვალიერდა ავზი. შემოწმდა დებეტი და ხარისხიანობა, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ წყალი ვარგისი და საკმარისია. დაუყოვნებლივ მივიღეთ ზომები, გავაგზავნეთ წყლის მილები. ტექნიკური სამუშაოები მოსახლეობამ თავად შეასრულა. ახლა მხოლოდ კომპანიას დარჩა დაერთების სამუშაოები. არის საუბარი, რომ აღნიშნული ავზიდან წყალი შეიძლება საღანძილის მოსახლეობასაც ეყოს. ამ საკითხზე ვმუშაობთ და მალე გვექნება პასუხი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია ბოდიშს გიხდით შექმნილი დისკომფორტის გამო, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებითაა გამოწვეული.

პატივისცემით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ თოფურიძე

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს

21 ივნისს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა წარადგინა. მოხსენებითი ბარათის თანახმად, მუნიციპალიტეტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით 5789 ლარი გამოეყო. საბიუჯეტო ცვლილებაში საუბარი შეეხო 2015-2017 წლების სხვადასხვა განკარგულებით სახელმწიფო ფონდებთან გამოყოფილი სახსრების აუთვისებელი ნაშთებიდან 118 510 ლარის მიმდინარე წლის ბიუჯეტში გადმოტანას და, მათ შორის, 100 000 ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციოდ მიიმართა.

გელაშვილმა ყურადღება გაამახვილა ივნისში მომხდარ სტიქიაზე. მისი თქმით, მიყენებული ზარალის დასადგენად საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის საკუთარი სახსრების ნაშთიდან მიიმართება 4900 ლარი.

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა არაკეთილსინდისიერ მეწარმეებთან ხელშეკრულების შეწყვეტასა და მათზე გაცემული ავანსის უკან დაბრუნებაზე ისაუბრა. შპს „ბილდინგ დეველოპმენტ გრუპზე"

გასულ წელს ავანსად გადარიცხული - 35 530 ლარი დაბრუნდა მუნიციპალიტეტის ანგარიშზე. ასევე დაბრუნდა შ.პ.ს. ,,რეკონსტრუქცია XXI-სა " და უცხოური საწარმოს ფილიალ „მარიაზე" ავანსად ჩარიცხული 401 439 ლარი. ბატონი ვლადიმერის განმარტებით, საჭიროა ამ თანხების მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯებში გადმოტანა ახალი ვალდებულებების შესასრულებლად.

მომხსენებლის თქმით, მუნიციპალიტეტის სოფლებში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების საპროექტო სამუშაოების შესყიდვისათვის საჭიროა 120 ათასი ლარი. აღნიშნული თანხის მოსაძიებლად შესაძლებელია, გაიზარდოს 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები დაუგეგმავად შემოსული სანებართვო მოსაკრებლის ხარჯზე 45,0 ათასი ლარით, საკუთარი სახსრების ნაშთიდან 25 ათასი ლარით, 40 ათასი ლარი მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის ხარჯებიდან და 10 ათასი ლარი საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯებიდან.

აღნიშნული საბიუჯეტო ცვლილებით, 2019 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 14 373 666 ლარით, ხოლო გადასახადების ნაწილში - 19 455 959 ლარით.

მოხსენებითი ბარათის გაცნობის შემდეგ დეპუტატებმა საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს. საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა ყურადღება 7-13 ივნისს მომხდარ სტიქიაზე გაამახვილა. ,,კარგი იქნებოდა, ლეღვანში დაზიანებულ ცენტრალურ გზაზე ფეხით გასასვლელი გაგვეკეთებინა. ასევე საყურადღებოა კომპანია „ნიუ გრუპზე" გაცემული ავანსი. როგორც საკრებულოს წევრი, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ სახელმწიფო აუდიტს ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია გაცემული ავანსების შესახებ,"-განმარტა ჭიპაშვილმა. დეპუტატმა კიდევ ერთხელ ისაუბრა მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციასა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაზრდაზე.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძე ამბობს, რომ სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი მერიაში შექმნილმა სპეციალურმა შტაბმა დაითვალა. მიყენებული ზარალის დასაანგარიშებლად საექსპერტო მომსახურების შესყიდვას კი დაგვიანებულად მიიჩნევს.

ლეღვნის მაჟორიტარი დეპუტატის, ნიკოლოზ მაღრაძის, თქმით, ამავე სოფლის დაზიანებულ გზაზე არ არის საკმარისი ადგილი, რომ გრუნტი დაიყაროს. დეპუტატის ინფორმაციით, ადგილზე ნებისმიერი დროებითი სამუშაო გზის აღდგენის ხარჯებს გააორმაგებს.

საბოლოოდ, წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა.

თამარ მაღრაძე

სამი თაობა და გამარჯვების სამი წომინაცია...

ხელოვნებასა თუ ნებისმიერ სხვა სფეროში ხარაგაულელთა საქვეყნოდ გაცხადებული გამარჯვებები, რასაკვირველია, თავბრუს არ გვახვევს, მაგრამ სიხარულისა და სიამაყის გრძნობას კი ნამდვილად გვიძლიერებს...

ასე იყო 20 ივნისსაც, როცა „იმერეთის თეატრალური ფესტივალის" ჟიურიმ (ცნობილი თეატრმცოდნეები: თავმჯდომარე ლელა ოჩიაური, წევრები - ლაშა ჩხარტიშვილი, მაკა ვასაძე) ფესტივალში მონაწილე თეატრებზე დაწესებული ცხრა ნომინაციიდან სამი ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრს მიანიჭა. შეგახსენებთ, რომ თეატრმა ფესტივალზე წარადგინა გურამ დოჩანაშვილის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ხორუმი ქართული ცეკვაა."

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების" - შეგვაგონებს დიდი რუსთველი. მკითხველი დამერწმუნება, რომ ზენაარის ძალასთან ბუნებრივად შერწყმული ადამიანის ნიჭი, უნარი და თავდადებული შრომა განსაზღვრავს ყველა ნატვრის, მიზნისა და ოცნების ასრულებას. ესაა უმთავრესი ორიენტირი, უმთავრესი გზა 120 წლის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის თითოეული წევრისა, რომლებთანაც 15 - წლიანი რეჟისორული ღვაწლით არის დაკავშირებული თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი ქალბატონი ირინე ჩხეიძე.

მე არც თეატრმცოდნე ვარ და არც ამ სფეროსთან რაიმე პროფესიული შეხება მაკავშირებს, მაგრამ სრულიად გაუცნობიერებელ მაყურებელსაც კი ამოადგმევინებს ენას და ათქმევინებს სამადლობელს იმ კოლოსალური შრომისათვის, რაც თეატრის ენაზე გვითხრეს

მსახიობთა სამმა თაობამ, რეჟისორმა ირინე ჩხეიძემ, ქორეოგრაფმა ზაზა ლურსმანაშვილმა, მხატვარმა გაიოზ შუბითიძემ, მუსიკალურმა გამფორმებელმა ანუშკა ჩხეიძემ, მუსიკალურმა ოპერატორმა დავით კვირიკაშვილმა, ოპერატორებმა: ირაკლი შარიქაძემ და ზაზა ტაბატაძემ.

ჟიურის გადაწყვეტილებით, სამი ნომინაცია ასე განაწილდა: საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი - ირინე ჩხეიძე; ქალის ეპიზოდური როლის საუკეთესო შემსრულებელი - ლია ჭიპაშვილი; კაცის ეპიზოდური როლის საუკეთესო შემსრულებელი - როლანდი ხიჯაკაძე.

ვულოცავთ მშვენიერი თეატრის მართლაც საამაყო დასსა და ყველა მათს თანამდგომს ამ დიდ გამარჯვებას. გვნამს, რომ მომავალშიც უამრავ სიხარულთან, დამსახურებულ წარმატებებთან შეახვედრებენ ერთგულ მაყურებელს.

„და მაინც, რა არის ამ ბრწყინვალე გამარჯვების საფუძველი ან ისეთი რთული გადაწყვეტილების მიღება, როგორიც არის აღნიშნული პიესის პერსონაჟთა სცენური გაცოცხლება - ამ საკითხებზე თეატრის რეჟისორს, ირინე ჩხეიძეს, ვესაუბრეთ:

,, -გურამ დოჩანაშვილი ჩემი უსაყვარლესი შემოქმედია - აღნიშნავს ქალბატონი ირინე- რამდენჯერმე მაქვს ნანახი მის თხზულებებზე შექმნილი სატელევიზიო სპექტაკლები: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა," „იმ რაღაცის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება." ასევეა „ხორუმი ქართული ცეკვაა." განსაკუთრებული აქცენტი მქონდა გაკეთებული ამ უკანასკნელზე. ბავშვობიდან მომყვებიან ამ პიესის სახეები და ვოცნებობდი, ჩემი ხედვით, მათს სცენაზე ამეტყველებას, თუმც ძალიან ვშიშობდი... ვეძებდი და ვერ ვპოულობდი ამ ჩანაფიქრის ასრულების შესაძლებლობას. ეს კარგად იცოდნენ ჩემმა მეგობრებმა და გაბედული ნაბიჯიც სწორედ მათ გადამადგმევინეს. ისინი ხომ მუდამ ჩემ გვერდით არიან და უშუალოდ განსაზღვრავენ ხარაგაულის სახალხო თეატრის წარმატებებს. დიდი შრომა გავწიეთ. სცენარი საკმაოდ ვრცელია, მარტო სატელევიზიო სპექტაკლი 3-საათიანია. ერთი თვე სცენარზე მუშაობას მოვუნდი. დრო შევამცირე და მოვარგე სახალხო თეატრის ქრონომეტრაჟს. პიესაში ძალზე საინტერესო, რთული და განსხვავებული სახეებია. აღნიშნული პიესა იშვიათად იდგმება. ბოლო წლებში ის ბათუმისა და ზუგდიდის სახელმწიფო თეატრებმა დადგეს. ოთხი თვის განმავლობაში ვმუშაობდით სპექტაკლზე, არ იყო ჩვენთვის შაბათი და კვირა. ეს იყო უშეღავათო, ჩაუმუხლავი შრომის პროცესი და, როგორც ხედავთ, სწორედ ამის შედეგია ეს დიდი გამარჯვებაც..."

* * *

სპექტაკლში რეჟისორმა პიესის 22 პერსონაჟიდან 15 ჩართო, ზოგჯერ საჭიროდ მიიჩნია პერსონაჟთა შერწყმაც. მთავარი იყო, არ დაკარგულიყო პიესის დედააზრი. სპექტაკლში ერთი სოფელი და ერთი სამეზობლოა წარმოდგენილი, თუმცა იგი სრულიად საქართველოსთანაა ასოცირებული. მსახიობები ერთმანეთისაგან ხასიათებით მკვეთრად განსხვავებულ პერსონაჟებს განასახიერებენ და, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორული ხედვით ყველაფერი ზუსტადაა გათვლილ - გაანგარიშებული, ნიჭიერ მსახიობებს ბუნებრივად აქვთ მორგებული როლები. აი ისინი: გოგი - გიორგი მაქაძე, უნივერსალი - ვასილ კიკნაძე, ასისტენტი - ლია თაბუკაშვილი (დებიუტანტი), ერასტი - ბათუ კიკნაძე, შალვა - ნიკოლოზ მაჭავარიანი, ბესარიონი - ნიკო წიკლაური, ბესარიონის ცოლი - ლუიზა კიკნაძე, ვამიჩეიშვილი - ნიკო დეკანოსიძე, ბიქტორი - ბიჭიკო მაისურაძე, აგნესა - მაია ბერაძე, სერგია - გიორგი ჭიპაშვილი, ვერიკო - ლია ჭიპაშვილი, დათა - დათო ჭყოიძე, საშიკო - ბექა ხიჯაკაძე, გლეხი - როლანდ ხიჯაკაძე.

რეჟისორმა პიესაში კახელი გლეხი იმერელი გლეხით ჩაანაცვლა და არც შემცდარა. როლანდი ხიჯაკაძის მიერ განსახიერებული გლეხის მეშვეობით ხალხის შესაცნობად მოყ-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

სამი თაობა და გამარჯვების სამი ოვაციები...

დასაწყისი▶ 1 გვ.

ვანილი უნივერსალი დაახლოებით მაინც ჩანდება იმ უმთავრესს, რითაც გამორჩეულია ქართველი ერი - ესაა ვაზის სიყვარული, მიწის სიყვარული და ის მძიმე შრომითი პროცესი, რაშიც მუდამ ჩართულია გლეხკაცი.

ძალზე საყურადღებო და ყველაფრის მთქმელია უნივერსალის კითხვაზე - სულ ასე შრომობთ? - გლეხის პასუხი: - „შრომისთვის ვართ გაჩენილები. ერთხელ კი დევისვენე, ცოტათი ავად გავხდი, მუცელში რაღაცამ მამიარა, დამდეს შვილებმა ურემზე და ქალაქში სუ ჯაყჯაყით ჩამიყვანეს... დამაწვინეს ქათქათა მაგიდაზე, იქ სუ კრიალ-კრიალი გაუდიოდა ყველაფერს, დამადგა თავზე ვიღაცა თეთრად ცხვირპირახვეული ექიმი და შეუდგა თავის დანიან საქმეს... მერე გაკვირვებული მეკითხებოდა: - რატო არ ყვირიო? - მე უფრო გამიკვირდა - რა დამაყვირებს, შე კაი კაცო, ძლივას დაწოლილ- მოსვენებული ვაარ - მეთქი...“

დამეთანხმებით, ამ სიტყვებს კომენტირება აღარ სჭირდება. დასკვნას ბუნებრივად აკეთებს მაყურებელი - აი, ვინ გადაგვარჩინა, ვინ გადაარჩინა საქართველო. პასუხი ერთია - შრომამ და მშრომელი კაცის დაკოჟრილმა მარჯვენამ. მთელი სიცხადით წარმოგვიდგება ამ დროს მეფე - პოეტ არჩილის ფორმულა:

„თუ ამოწყდეს გლეხი კაცი,
საქართველო დაძაბუნდეს...“

როლანდი ხიჯაკაძის მიერ გარდასახულ გლეხში ეს ყველაფერია ზუსტად მისადაგებული და ის ჯილდო - ნომინაცია, რაც დაიმსახურეთ, ამის სრული აღიარებაა, ჩვენო როლანდ!

საკმაოდ რეალური და ცხოვრებისეულია „დაუფასებლობით“ შეწუხებული გაუთხოვარი ვერიკოს სახე (ლია ჭიპაშვილი). არ შეიძლება არ გაგვახსენდეს პროტესტის გამომხატველი მისი სიტყვები: - „გაიხედ- გამოიხედეთ, იქნებ აქაც გირევიათ ვინმე დაუფასებელი, უცხოს ნახვაზე, რომ ასე გადაირევით ხოლმე...“

აბა, რომელი ერთი გინდა გამოყო, გამოარჩიო როლების შემსრულებელთაგან თავიანთი შთამბეჭდავი და ბუნებრივი თამაშით...

მოპოვებულ სამ ნომინაციაში თქვენ ყველანი მოიაზრებით, სამის გამარჯვება ყოველი თქვენგანის გამარჯვებაა - რეჟისორიდან დაწყებული გლეხით დამთავრებული - ჩვენო ნიჭიერო ხარაგაულელებო!

სპექტაკლს რიტმულად ერწყმის ცეკვა „ფერხული“ და მელოდია „ჩემო ტკბილო მეგობარო!“ თავისი დატვირთვა აქვს მომენტალურად გაჟღერებულ რეჟისორის მიერ ჩართულ „ჩაკრულოს.“

განსაკუთრებით საინტერესოა ფინალი. უცხო კაცი უნივერსალი სოფლის ფერხულში ჩაებმება. მისი კითხვაა: - გამაგებინე, გოგი, რანი ხართ? ვინა ხართ?...

საჭიროდ მივიჩნევ აქ ჩავრთო ის დიალოგი, რომელშიც მონაწილეობენ: მწიგნობარი შალვა, „სოფლის თავკაცი“ ერასტი და სოფელში დაბრუნებული გოგი.

-როგორ გგონია, ჩემო გოგი, გაიგო ვითომ იმ კაცმა (უნივერსალმა) რამე?

-რა ვიცი... არ ვიცი...

-რაღაცას მაინც კი უნდა მიმხვდარიყო წესით.

-რა ვიცი... მხოლოდ ჩვენი სოფელი ნახა და...

-კი, მაგრამ გინდაც ერთი წვეთი ვიყოთ, ზღვის თვისებებსაც ვიმეორებთ, თუ დაგვაკვირდება კაცი...

-რომ ვუკვირდები, ზოგად ადამიანებსაც კი წავაგავართ ჩვენ...

-კი წავაგავართ, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო გამჟღავნებულები ვართ...

-ნეტავი რატომ...

-ეგებ იმიტომ, შენიღბვისათვის ნაკლებად რომ გვეცალა...

-ისე, ბოლოსკენ ძალიან ამაღლებულად კი დავუხატეთ ჩვენ-ჩვენი თავი...

-კი, მაგრამ სხვა ამბებზედაც ხომ ბლომად ვაცქერინეთ...

-ისე, რაღაცა გვაქვს მაინც ჩვენ - ჩვენი, რაღაცა კარგი...

-კი, კი, ნამდვილად... და რაღაცა გვაქვს, არც ისე კარგი...

-ცოტათი გლახა...

* * *

გამაგებინა მაინც რანი ვართ? - კითხვა ისევ კითხვად რჩება და სპექტაკლის ბოლოს ექოსავით გაჰყვება სამომავლოდ თაობებს (ეს რეჟისორული შტრიხიც ირინე ჩხეიძის ხელწერაა!).

* * *

ცნობილი თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი აღნიშნავს: „ხარაგაულის თეატრმა გურამ დოჩანაშვილის „ხორუმი ქართული ცეკვაა“ დადგა. სცენაზე ვნახე ჩვენი საზოგადოება - განსხვავებული მისწრაფებებით, შესაძლებლობებით, მსოფლმხედველობით... სცენაზე ვნახე ხალასი ნიჭის არტისტული ნამუშევარი, იუმორით, თვითკრიტიკით, ირონიით გაჯერებული ტიპაჟები. მხატვრული სახეების ფართო გალერეაა წარმოდგენილი ხარაგაულის თეატრის სცენაზე. ვულოცავ ამ გამარჯვებას ხარაგაულის თეატრს და კიდევ მრავალ წარმატებას ვუსურვებ მომავალშიც.“

ძალზე სასიხარულო იყო, რომ სპექტაკლის პრემიერას ხარაგაულის კინოთეატრში ესწრებოდა პიესის ავტორი, ცნობილი მწერალი გურამ დოჩანაშვილი. მან კმაყოფილებით აღნიშნა: „ბედნიერი ვარ, რადგან დავრწმუნდი, რომ ჩემს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. მე სცენაზე ვიხილე დიდი ნიჭიერება, ზუსტად ჩემეული ჩანაფიქრით ამეტყველებული სახეებით...

მადლობა თქვენ, ნიჭიერო ხარაგაულელებო!“

* * *

აი, დავსვი წერტილი, თითქოს ნაწილობრივ დავასრულე ჩემი სათქმელი და გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება 120 წლის ისტორიის მქონე თეატრის მიმართ... მაგრამ მის მიერ ამ გამარჯვების მოპოვებით გამოწვეული სიხარული, ძლიერი ემოცია, მაინც არ მტოვებს... დასი, ალბათ, უფრო მეტს მოითხოვს ჩემგან, როგორც მაყურებლისაგან... ჰოდა, ჩემი წერის უნარ - შესაძლებლობა მეტს რომ ვეღარ გაწვდა, ყველაზე მაგარი ქართული სიტყვა მოვიშველიე და მწერალ - რეჟისორ - მხატვარ - ქორეოგრაფ - მუსიკოს - ოპერატორ - მსახიობებიანად - ყველას მისამართით ხმამაღლა წარმოვთქვი:

მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ!

და გთხოვთ, ეს დიდებულ - ბარაქიან - გრძნობატევადიანი სიტყვა თანაბარი დოზით გაინაწილოთ და დამტოვოთ მოსვენებასა და სიმშვიდეში თქვენს მომავალ გამარჯვებამდე!..

მერი გიორგიძე

ბედნიერი ვართ თქვენი სტუმრობით, გრიშა მასწ!..

გრიშა მასწ!.. - რამდენი თაობის რაოდენ დიდ სიყვარულს იტევს ეს შემოკლებული მიმართვა. თუმც ამით უფრო სხარტად არის გაცხადებული ის მადლი, ის ძალა, სიყვარულის ის შემოუფარგლავი გრძნობა, რასაც ასეთი მარტივი ფორმით უბრუნებენ ადრესატს. ადრესატი კი ერთი ნაღდი ქართველია (უფრო დაკონკრეტებით - ნაღდი გურული), კაცი - დიდი პედაგოგი, ფუტკარივით ფუსფუსა, მომავალ თაობათა გზამკვლევი, პროფესიონალური სიზუსტით რომ მართავს იმ საჭეს, რომელსაც გზად მუდამ მწვანე შუქი და ჩახჩახა მზე ახლავს; კაცი, რომელიც „არ სდევს ჟამთა სვლას და იგივეა მარად და მარად!“

ეს კაცი, როგორც მას თავის საავტორო სპექტაკლში ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ ერთობ მორგებული და მრავლისმეტყველი სახელი - „მარადიული პიონერფილმელი“ - უწოდა, გრიგოლ (გრიშა) ჩიგოგიძეა. თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის „პიონერფილმის“ ხელმძღვანელი, რეჟისორი და თეატრმცოდნე.

ბატონი გრიშა უცვლელი მასპინძელია რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ყველა იმ სპექტაკლისა, რომელიც თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლის იმ დარბაზში იმართება, რომელსაც, უბრალოდ, „ჩიგოგძის დარბაზს“ ეძახიან.

გრიშა ჩიგოგიძეს სხვა, გამორჩეულად თბილი, ურთიერთობაც აკავშირებს ხარაგაულთან და ხარაგაულელ ახალგაზრდებთან. როგორც ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის დირექტორი მაია ბლუაშვილი აღნიშნავს, წლების წინ ბატონი გრიშა დიდი ინტერესით მოეკიდა მათს სურვილს, რომ შექმნილიყო ერთობლივი

პროექტი „კინოქალაქი სინემა.“ ათი დღე სტუმრობდნენ ბატონი გრიშა და მისი დაოსტატებული პიონერფილმელები ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლს. ეს იყო ძალზე საქმიანი, შემოქმედებითი ურთიერთობის დასაწყისი, რაც დღემდე გრძელდება. ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლთან შეიქმნა კინომოყვარულთა წრე, რომელშიც ინტერესით გაერთიანდნენ ხარაგაულელი მოსწავლეები.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისას ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის კინომოყვარულთა წრის წევრები ეწვევიან დედაქალაქში პიონერფილმელებს და ერთხელ კიდევ მიიღებენ გულისხმიერ დამოძღვრას ბატონ გრიშა ჩიგოგიძისაგან.

* * *

რაოდენ დიდი იყო სიხარულის განცდა, როცა სპექტაკლი „მარადიული პიონერფილმელი“ თბილისში ორი ივნისის პრემიერის შემდეგ უკვე ხარაგაულში გაიმართა 12 ივნისს. საყვარელი „გრიშა მასწ...“ თავის ხუთ აღსაზრდელთან ერთად გვეწვია. როგორ გადმოიცემა ის სასიამოვნო ემოცია, როცა სპექტაკლის სანახავად კინოთეატრში მისულ მაყურებლებს ფოიეში დამატყვევებელი ღიმილით შეგვეგება პატარა „ჩარლი ჩაპლინი“ - ნიკა ზუბაშვილი. იმ იდენტური ჩაცმულობითა და ხელჯოხით, რაც განუშორებელი იყო დიდი ინგლისელი მსახიობისათვის.

ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გოგონათა გუნდის წევრებმა თბილისელ თანატოლებთან ერთად შეასრულეს „პიონერფილმის ჰიმნი“ და „ჩიგოგიძეების ჰიმნი,“ ხოლო მასპინძლებმა საყვარელ პედაგოგს მიუძღვნეს კომპოზიტორ ლილიკო ნემსაძის სიმღერა „დელია, დელია“ (პედაგოგი დარეჯან გვაძაბია).

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა იზა ვეფხვაძემ ამჯერადაც მისთვის ჩვეული ნიჭიერების, პიროვნების სიყვარულისა და პატივისცემის დიდი გრძნობით, წარმოადგინა სცენაზე სპექტაკლის მთავარი გმირის, გრიშა ჩიგოგიძის, უმშვენიერესი ცხოვრების შთამბეჭდავი ეპიზოდები. წარმოაჩინა აღსაზრდელებთან ურთიერთობის ის ამაღლებული გრძნობა, რაც ასე უხვადაა დავანებული ამ თვალსაჩინო პედაგოგის სულში და, რაც ბუნებრივად გადამდებია ყველა იმ პიროვნებისათვის, ვისი მთავარი საფიქრალიც ბავშვის მომავალი, ცხოვრებასთან ჭიდილში მისთვის ფრთების გამაგრებაა.

* * *

მეორე დღეს, 13 ივნისს, პიონერფილმელები და მათი საყვარელი პედაგოგი საკრებულოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ, მიიწვია. შეხვედრას ესწრებოდნენ საკრებულოს დეპუტატები: პაატა გოგოლაძე, იუზა კელენჯერიძე, დავით კიკნაძე, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი, სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე.

ქალბატონი მანანა ესაუბრა პიონერფილმელებს საკრებულოს სტრუქტურისა და მისი მუშაობის სპეციფიკის შესახებ. შემდეგ კი ხაზი გაუსვა ახალგაზრდული საკრებულოს საქმიანობას, რომელშიც ჩართული არიან X-XI კლასების მოსწავლეები. სტუმრებმა: ლიტერატურული თეატრის ერთ-ერთი მეგობრისა და თანამდგომის, მაქს შავიტის, შვილიშვილმა ლეონ შავიტმა, ნიკა ზუბაშვილმა, თეკლა გველესიანმა, თამარ ზარნაძემ და ელენე აფაქიძემ მადლიერება გამოხატეს ამ სასიამოვნო შეხვედრის ორგანიზატორის მიმართ და გამოთქვეს სურვილი ახალგაზრდული საკრებულოს წევრებთან დამეგობრებისა და მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებისა. საკრებულოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ და დეპუტატმა იუზა კელენჯერიძემ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ბატონ გრიშა ჩიგოგიძესა და მის აღსაზრდელებს.

ამის შემდეგ სტუმრებმა მოინახულეს „დევები“, დატკბნენ ჩხერიმელის ხეობის მიმდებარე ხედებით. ბოლოს საკრებულოს თავმჯდომარემ მცირე სუფრით მათ გზა დაულოცა თბილისისაკენ.

მომავალ შეხვედრამდე, პიონერფილმელებო,
მომავალ შეხვედრამდე, საყვარელო გრიშა მასწ!..

მერი გიორგიძე

ძველი შუქი წიგნსა და წიგნიერებას!..

ძალიან გვიყვარს მხატვრული ლიტერატურა და გარკვეულ დროს ვუთმობთ საინტერესო წიგნების კითხვას. კლასშიც ხშირად ვუზიარებთ მოსწავლეები ერთმანეთს ნაკითხულის შთაბეჭდილებებს. ამ თვალსაზრისით დიდ სტიმულს გვაძლევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მერი გიორგიძე. დავგეგმეთ, რომ ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“ გაგვეანალიზებინა მორიგ შეკრებაზე. აღნიშნული თხზულება ხომ ხელოვნებასთან სიახლოვით გვიზიდავს. აკი მისი ავტორის ცხოვრებისეული ფორმულაც ხომ კარგად იკვეთება მისივე სიტყვებით „ხელოვნება ერთფეროვნებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გზაა“ და მწერლის კვლავ ძლიერი სურვილი - „ჩემი საზრუნავი მხოლოდ ის არის, საკუთარი პიროვნება ხელოვნების ქმნილებად ვაქციო.“

ინტერესი კიდევ უფრო გაგვიძლიერდა, როცა ამანდა ავალიშვილმა ინტერნეტში მოიძია ფაქტი, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი, პოეტი ტიციან ტაბიძე, თურმე გარეგნობით თავს უაილდს ამსგავსებდა და მასავით ყვავილების სიყვარული დასჩემდა. თანამედროვეთა მტკიცებით, ლონდონის ცნობილ ქუჩაზე, პიკადილზე, შროშანით ხელში მოსეირნე გრძელთმიანი ოსკარი გამვლელთა ყურადღებას იქცევდა. ტიციანიც ხომ განუშორებლად იმაგრებდა საღილეში წითელ მიხაკს...

12 ივნისს შეკრება ძალზე სასიამოვნო მსჯელობით წარიმართა. ანა კალანდაძემ მწერლის ცხოვრების ძირითად მომენტებზე გამამახვილა ყურადღება. ნათია ბურჯანაძემ და მონიკა ბუცხრიკიძემ რომანის შინაარსი შეგვახსენეს ძალიან მიმზიდველად, სწორი, გამართული ქართული მეტყველების კულტურით.

ნინო შარიქაძემ ხაზი გაუსვა იმ დიდ ინტერესს, რითაც საზოგადოებაში რომანი „დორიან გრეის პორტრეტი“ სარგებლობს. ცნობილია, რომ რომანი სამ კვირაში დაწერა ავტორმა. იგი თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა უამრავ ენაზე და 25-ჯერ არის ეკრანიზებული. ნინომ აღნიშნა, რომ მედიცინაში არსებობს დაავადება „დორიან გრეის სინდრომი“ - ფიზიკური დაბერების შიში. უაილდმა მედიცინას

ახალი „იდეა“ შესთავაზა - ახალგაზრდობის შენარჩუნება. დღეს თანამედროვე მედიცინა ნამდვილად სწყალობს ფიზიკური სილამაზის შენარჩუნების მსურველ ადამიანებს (ვისაც ამის ფინანსური შესაძლებლობა აქვს). პლასტიკურმა ქირურგიამ გარკვეულწილად ბევრს დაუკმაყოფილა ამგვარი გატაცება.

საინტერესოდ იმსჯელეს მოსწავლეებმა სახე-პერსონაჟებზე (დორიან გრეი, ლორდი ჰენრი უოტონი, ბეზილ ჰოლუორდი, სიბილ ვეინი...).

როცა მხატვარმა ბეზილ ჰოლუორდმა ახალგაზრდა, შესანიშნავი გარეგნობის მამაკაცს, დორიან გრეის, პორტრეტი დაუხატა, რომანის მთავარი გმირი ტკბებოდა პორტრეტის სილამაზით და ფიქრი არ სცილდებოდა მას: „ოჰ, ყველაფერი თუ უკუღმა ყოფილიყო, პორტრეტი შეიცვლიდა სახეს, მე კი დავრჩებოდი ისეთივე, როგორიც ახლა ვარ! ამისთვის სულს მივყიდდი ეშმაკს!..“

გრეის სურვილი ასრულდა, მან გაიცნო ჰენრი უოტონი, რომლის სახეშიც მკითხველი აუცილებლად ამოიცნობს თვით ავტორს -ოსკარ უაილდს.

განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით გაანალიზდა რომანის ფინალი: სხვენში გადამალულ პორტრეტს, რომელიც იმავდროულად მისი სინდისის სარკეა, საშინელი მისტიკით შეპყრობილი დორიანი, დანას გაუყრის. შემოცვენილმა მოსამსახურეებმა ნახეს თავიანთი პატრონის ულამაზესი პორტრეტი, ხოლო იატაკზე -დამახინჯებული ბერიკაცის გვამი, რომლის ამოცნობა მხოლოდ ბეჭდების საშუალებით მოხერხდა...

ხელოვნების პედაგოგმა დალი ლურსმანაშვილმა ვრცლად მიმოიხილა ის მიმდინარეობები, რომლებიც ასაზრდოებდა ოსკარ უაილდის სულიერ სამყაროს. განსაკუთრებით შეეხო ესთეტიზმს, რომელმაც ინგლისურ ლიტერატურაში სრულყოფილი სახე სწორედ ოსკარ უაილდის შემოქმედებაში მიიღო...

სკოლის დირექტორმა მარინე ხვედელიძემ, სასწავლო ნაწილის გამგე მზია კვინიკაძემ, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ნანა დევდარიანმა, კლასის ხელმძღვანელმა ნამი კერესელიძემ საფუძვლიანი შეფასება მისცეს წიგნისა და წიგნიერებისაკენ სწრაფვის აღნიშნულ ფაქტს.

განხილვა-ანალიზს მეექვსე კლასის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ, რომელთაც მერი მასწავლებელმა სტუდენტობის დროს შეძენილი ოსკარ უაილდის მათი ასაკის შესატყვისი თხზულებების კრებული „ბროწეულის სახლი“ შესთავაზა. კესო იჩქიტიძემ გვიან ღამემდე იკითხა „ვარსკვლავბიჭუნა,“ შემდეგ კი თავის მეგობრებს გადასცა და ურჩია, ისინიც დამტკბარიყვნენ ბიჭუნას გაცნობით.

მაშ ასე, მწვანე შუქი წიგნსა და წიგნიერებას, მოსწავლეებო, ჩვენო მეგობრებო!

ამანდა ავალიშვილი,
ნათია ბურჯანაძე,
მონიკა ბუცხრიკიძე,
ანა კალანდაძე,
ნინო შარიქაძე

ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელები

ნოსტალგიის მოსწყლებით წინასწარით ვიცვებს!..

ჩვენდა საამაყოდ და სასიხარულოდ, ხარაგაულს წარჩინებულ შვილთა სიმრავლე ნამდვილად არ უკვირს, მაგრამ წარსულით ტკბობას მაინც აწმყო და სამომავლო პერიპეტიების გამოკვეთა გვირჩევნია...

უფლის ნებით, აწმყოში სამეცნიერო ასპარეზზე დროდადრო კვლავ გამობრწყინდება ხოლმე ნიჭიერ ხარაგაულელთა სახელი...

სულ ახლახან ხარაგაულის საზოგადოებამ ძალზე სასიხარულო და საამაყო ინფორმაცია შეიტყო - ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა მეცნიერმა გიორგი გაგოშიძემ, ძალზე კონკურენტულ გარემოში აკადემიკოსის წოდება მოიპოვა დამაჯერებლად და დამსახურებულად.

ბატონი გიორგი ერთ-ერთი გამორჩეული ქართული ოჯახის შვილია. დედას, აწ განსვენებულ ამალია თანანაშვილსა და მამას, ცნობილ ლოტბარ ალიოშა გაგოშიძეს (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!), მიღებული ჰქონდათ საგუნდო - სადირიჟორო განათლება და წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდნენ თვითმოქმედ ანსამბლებს. დიდია მათი წვლილი ხალხური შემოქმედების დახვეწა-გაძლიერებაში.

ხარაგაულის საზოგადოების სახელით ვულოცავთ ბატონ გიორგის თავდადებული შრომის ამ უბრწყინვალეს შედეგს - მეცნიერების თვალშეუდგამი მწვერვალის დაპყრობას და, გაზეთ „ახალი ხარაგაულის," მკითხველთა ინტერესებიდან გამომდინარე, მივმართავთ, აწ უკვე აკადემიკოსს, რამდენიმე კითხვით:

-ბატონო გიორგი, ბუნებრივია, დიდია თქვენი მშობელი კუთხის - ხარაგაულის საზოგადოების - ინტერესი, და გთხოვთ, გვიამბოთ ამ დიდი გამარჯვების შესახებ.

-დავიწყებ ღრმა პატივისცემით ჩემი ლამაზი ხარაგაულისა და ხარაგაულელების მიმართ, თუმცა ჩემს განწყობას, ალბათ, დიდ სიყვარულს უფრო ვუწოდებდი. ვიცხოვრე მეცნიერის ჩვეულებრივი ცხოვრებით, 40 წელი შევალიე როგორც საქართველოს, ისე, ზოგადად, კავკასიის ტყეების კვლევას, მათი დეგრადირებული მასივების ძვირფასმერქნიანი სახეობებით რეკონსტრუქცია-აღდგენის საქმეს. საბედნიეროდ, კავკასიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მოიპოვება ხელუხლებელი ტყის მასივები, რომელთა ცენოტური თავისებურებების შესწავლა როგორც კავკასიელ, ისე უცხოელ მეცნიერთა ცხოველ ინტერესს იწვევდა და იწვევს დღესაც. ამ ინტერესიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში მიწევდა სამეცნიერო საქმიანობა- ამერიკელ, ევროპელ, აზიელ, კავკასიელ და, რაც მთავარია, ჩემს ქართველ კოლეგებთან ერთად. როგორც

ინდივიდუალური, ისე ერთობლივი კვლევის შედეგები წარდგენილი მაქვს 60 სამეცნიერო, აქედან 36 უმაღლესი რანგის საერთაშორისო ფორუმზე, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი 112 სამეცნიერო ნაშრომის სახით ციტირებული და გამოქვეყნებულ იქნა ბელგიის, რუსეთის, უკრაინის, პოლონეთის, ყირგიზეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და უცხოეთის სხვა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო კრებულებში. პარალელურად, 1987 წლიდან, როგორც ასისტენტი, დოცენტი და პროფესორი, პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი, ჯერ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო აგრარულ, სასოფლო - სამეურნეო, თელავისა და ამჟამად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში. აღზრდილი მყავს ათასობით მეტყევე- ინჟინერი, სატყეო მეურნეობის ბაკალავრი, მაგისტრი, აკადემიური დოქტორი და სხვა. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა თანამშრომლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან- აგრარული მეცნიერების ფლაგმანთან, როგორც საქართველოსა და კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სწორედ აკადემიის, ტექნიკური უნივერსიტეტისა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მხარდაჭერას ვუმადლი, რომ ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მოვედი დღევანდელ დღემდე.

-აკადემიკოსობამდე იყო ძალზე მნიშვნელოვანი გზა შრომითი თავდადებისა, მიღწევებისა, აღიარებისა, სამეცნიერო ხარისხებისა და შესაბამისი ჯილდოების მოპოვებისა, რასაც მოჰყვა საპასუხისმგებლო თანამდებობები სამეცნიერო და კვლევით ცენტრებში. ძალზე საინტერესო იქნება „ახალი ხარაგაულის" მკითხველისათვის თქვენი სამეცნიერო ცხოვრების საეტაპო მომენტების გაცნობა.

-ალბათ, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან დაიწყო. ჩემი პედაგოგები არა მხოლოდ დიდი მეცნიერები, არამედ, პირველ რიგში, დიდი პიროვნებები ბრძანდებოდნენ, რომლებმაც, როგორც სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩამაბეს, ისე, მშობლებთან ერთად, დიდი ამაგი დასდეს ჩემი პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეს. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ იყო ასპირანტურა, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვა, თანამდებობების მონაცვლეობა - კათედრის ლაბორანტის, უფროსი ლაბორანტის, ასისტენტის, დოცენტის, პროფესორის, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანის (1996/2006 წ. წ.), მეტყევეობა-ლანდშაფტის დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის, რექტორის მოადგილის (2007/2010 წ. წ.), ორი გაერთიანებული სახელმწიფო უნივერსიტეტის (საქართველოს სახელმწიფო აგრარული და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო) რექტორის მოვალეობის შემსრულებლის (2010/2011 წ. წ.), ხელახლა-რექტორის მოადგილისა (2011 წ.) და ა. შ. - თანამდებობებზე. 2012 წლის 17 ნოემბრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ა. ფრანგიშვილის მიწვევით, მუშაობა დავიწყე ჯერ სატყეო-ტექნიკური დეპარტამენტის სრულ პროფესორად, ხოლო შემდეგ, 2014 წელს, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ახლად დაარსებული ფაკულტეტის კონკურსით არჩეულ პროფესორად, სადაც ვმუშაობ დღემდე (2018 წელს ხელახალი ვადით ამირჩიეს ამავე თანამდებობაზე).

როგორც უკვე აღვნიშნე, განსაკუთრებული პატივია ჩემთვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ჯერ თანამშრომლობა, ხოლო ამჟამად მისი წევრობა, რადგან სწორედ აკადემიაა ის კერა, სადაც ყველა მეცნიერს ეძლევა ბოლომდე რეალიზების საშუალება და ეს ტრადიცია მისი დაარსების პირველივე წლებიდან იქცა უცვლელ ნორმად.

-ვიცით, რომ ხარაგაულთან, თქვენი „ადგილის დედასთან"- კიცხთან, განსაკუთრებული სიყვარული გაკავშირებთ. გაიხსენეთ ბავშვობა, მშობლები და ის გარემო, რომელშიც თანდათან იკვეთებოდა თქვენი სამომავლო ყოფის კონტურები. სამეცნიერო შრომაში დიდი რუდუნებით ჩართულს, დრო ნაკლებად გრჩებათ ხარაგაულთან და კიცხთან ურთიერთობისა, თუმც სასიამოვნო კონტაქტი მაინც არ წყდება, მაინც ახერხებთ... როგორ ახსნით, რა არის ეს ძალა, ეს გრძნობა?

-ალბათ, რასაც უზრუნველი, ხალისიანი, ბედნიერი და საოცარი ბავშვობა ჰქვია სწორედ ჩემს ულამაზეს სოფელში, კიცხში, გავატარე. დღემდე ვგრძნობ ჩემი ძველი, მამაპაპეული სახლის მონატრებას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე დამყვება. სოფელ ვარძიის ეკლესიის ეზოში არიან დაკრძალული ჩემი დიდი ბებია ვასასი შავიძე და ბაბუა - პოლიკა გაგოშიძე, კიცხში განისვენებენ ჩემი უსაყვარლესი თეო ბებია, ჩემთვის დღემდე კაცობის ეტალონად ქცეული გიორგი ბაბუა, ამაგდარი მამიდა ნორა, ხიდარსა და ვანში ასევე ჩემი ძვირფასი მამიდები და უამრავი ნათესავი, მოკეთე. გარდა ბავშვობის წლების მონატრებისა, ალბათ კიდევ არის რაღაც, თვალშეუდგამი, ძნელად ასახსნელი, თუმცა საოცრად ახლობელი, რომელიც ყველა ადამიანს და, მათ შორის, მეც, ასაკის მიუხედავად, დაჰყვება თან.

-თქვენ ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობით დიდი გამოცდილება შეიძინეთ, დიდი ცოდნით აღიჭურვეთ. ამ გადასახედიდან რას უსურვებთ ახალგაზრდა თაობას?

-ჩემო ძვირფასებო, ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც უფალმა ქართველებს დაგვანათლა - ნიჭიერებაა. მხოლოდ ცოდნით, შრომითა და შეუპოვრობით შეიძლება, გაიკვალოთ გზა უკეთესი მომავლისაკენ, ჩვენი ულამაზესი კუთხისა და სათაყვანებელი ქვეყნის საკეთილდღეოდ. საქართველო და ქართველები, როგორც მთელი მსოფლიო - რთულ, მაგრამ უაღრესად საინტერესო ეპოქაში ვცხოვრობთ. სირთულეები ნუ შეგაშინებთ, მათი დაძლევის ჟინი და სურვილი უფრო გაგაძლიერებთ, ამტანებს გაგხდით, ისეთებს, როგორიც ჩვენს სამშობლოს ყოველთვის სჭირდებოდა და ასეა დღესაც. არ დაივიწყოთ უკვდავ ხალხურ სიმღერაში „ჩაკრულო" - ქართველი კაცის დანაქადები, რასაც ჩვენი წინაპრები ყოველთვის უსრულებდნენ მტერს და ამით დიდებულ მაგალითს აძლევდნენ მოყვარეს.

გიყვარდეთ თქვენი ამქვეყნიური სამოთხე - ხარაგაული და ნურასოდეს მოსწყდებით წინაპართა ფესვებს!..

უფალი გფარავდეთ!

დიდი მადლობა, ბატონო გიორგი, თქვენი დატვირთული ყოველდღიური რეჟიმის მიუხედავად, ჩვენს კითხვებზე ოპერატიული პასუხებისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ჩვეულ შემართებას საყვარელი ოჯახის, ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ღვთისმშობელმა უწინამძღვროს თქვენი შინაარსიანი ცხოვრების მომავალს!..

მერი გიორგიძე

შემართებით სვლა ახალი სივრცეებისაკენ...

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში უკვე ტრადიციად იქცა კონცერტი, რომელიც უმშვენიერეს დღესასწაულს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს - ეძღვნება. ამავდროულად კონცერტი ერთგვარად აჯამებს იმ თავდაუზოგავი შრომის შედეგს, რაც პედაგოგთა ძალისხმევასა და აღსაზრდელთა ინტერესს მოჰყვება.

ძალიან მარტივად, მაგრამ ღრმაშინაარსიანად, განსაზღვრა ეს პროცესი სამუსიკო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ლალი ალექსიძემ: „აღმოაჩინო ბავშვში მუსიკისადმი, ხელოვნების ამ უმშვენიერესი სფეროსადმი, ნიჭი და მიდრეკილება, ეს ერთია, მაგრამ მეორე და უმთავრესია, ხელი ჩასჭიდო მას, დაარწმუნო თავის შესაძლებლობებში, გაუძლიერო მოტივაცია, არ მისცე საშუალება, რომ სიზარმაცით დააზიანოს ის, რაც უფლის მადლით ებოძა... და ეს კმაყოფილებაც, რაც ამ კონცერტით მაყურებელთა სახეებსა და სიტყვებში იკვეთება, სწორედ აღმზრდელ-პედაგოგთა რუდუნებითი შრომისა და ნიჭიერ მოსწავლეთა

ერთობლივი, მობილიზებული ურთიერთობის შედეგია."

აბა ვის შეუძლია, გულგრილად აღიქვას ის წუთები, როცა „პატარა ვარსკვლავი" - ნიცა ზუმბაძე თამამად, გაბედულად შემოდის, თითქმის „იპყრობს" სცენას და სულ სხვა სამყაროში გადავყავართ, სხვაგვარი ძალით შეგვაგრძნობინებს სიცოცხლის ხალისს იმ ნიჭით, იმ უნარით, რითაც ეს ანცი გოგონა ზენაარს გამორჩეულად, გულუხვად დაუჯილდოებია. მის მიერ შესრულებული კომპოზიტორ ნანა ბალახაშვილის ,,ყაყაჩო" სწორედ ამგვარი განცდით გაითავისა მსმენელ-მაყურებელმა. გვახარებს, რომ პატარა ნიცა ასევე წარმატებით ეუფლება ვიოლინოზე დაკვრის ხელოვნებას (პედაგოგი თამარ ჩიმაკაძე).

...და ინთება სამუსიკო სკოლის კოპწია სცენაზე ნიჭისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების დიდი კოცონი, მის სიმაღლეს კი განსაზღვრავენ: არმაზ და თინათინ შავიძეები, მარიამ ფცქიალაძე, თამთა და ნიკა კიკნაძეები, ელენე მესხი, მარიამ ხაჩიძე, სალომე მაჭავარიანი, მარიტა ჩაგელიშვილი, ნათია კაციტაძე, ქეთევან მანჯავიძე, თეკლა ებანოიძე, ილია კაპანაძე, მარიამ კალატოზი, მარიამ ტაბატაძე, გოგონათა ანსამბლი „შეგირდები" და უკვე აღიარებული უფროს გოგონათა ანსამბლი „ედელვაისი" (პედაგოგი დარეჯან კაციტაძე).

სამუსიკო სკოლასთან არსებული ბენდი „გრავე" (დალი მერაბიშვილი, დარეჯან გვაძაბია, თამარ ჩიმაკაძე, ირაკლი ცქიტიშვილი, გიორგი გავაშელიშვილი, ნიკოლოზ კიკნაძე, დათო კვირიკაშვილი) ამჯერადაც მშვენიერი რეპერტუარით ძალზე დახვეწილი საშემსრულებლო ოსტატობით წარდგა მსმენელთა წინაშე. რამდენად დიდი სიკეთეა სამუსიკო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის ის მჭიდრო ურთიერთობა, რაც მათ პიანისტ და პედაგოგ ზურაბ ვასაძესთან აკავშირებთ. შეუფასებელია ის მასტერ-კლასები, რომლებსაც ბატონი ზურაბი ატარებს სამუსიკო სკოლაში.

ეს ღირსეული პიროვნება ჭეშმარიტი სახეა იმისა, თუ რა ძალუძს ნიჭთან შერწყმულ კოლოსალურ შრომას. მაყურებელი ამჯერადაც მონუსხა და ტყვეობაში მოაქცია ბატონი ზურაბის მიერ შესრულებულმა ჯაზურმა კომპოზიციამ.

სამუსიკო სკოლაში შრომასა და შემართებას შედეგიც შესატყვისი აქვს. ამის დასტურია იმ უამრავ კონკურსში მოპოვებული წარმატებანი, რომელთა დამადასტურებელი დიპლომები გადასცა სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ლალი ალექსიძემ, გამარჯვებულებს.

წინ კვლავ ახალი საინტერესო სივრცეები იშლება: ივლისის დასაწყისში სკოლას მიწვევა აქვს ბორჯომში მუსიკალურ ფესტივალზე, შემდეგ იტალიაში, ასევე ლიტვაში, დამეგობრებულ ტაურაგის სამუსიკო სკოლის 65 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე და ა.შ.

ახალი სივრცეებისაკენ შემართებით სვლასა და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ სამუსიკო სკოლის უნარიან კოლექტივსა და ნიჭიერ მოსწავლეებს.

მერი გიორგიძე

საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლები ხარაგაულის საჯარო სკოლების უფროსკლასელებს შეხვდნენ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ხარაგაულის სკოლების მოსწავლეებს ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პროექტი წარუდგინეს და ვრცლად ისაუბრეს რეაბილიტაციის ფარგლებში საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვისა და რეგულაციების შესახებ. შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თემურ ჩხეიძემ და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ციბაძემ გახსნეს. თემურ ჩხეიძემ აღნიშნული გზის რეაბილიტაციის მნიშვნელობაზე

ისაუბრა და აღნიშნა, რომ მშენებლობის პროცესში და შემდეგაც მოსახლეობა ბევრ სიკეთეს მიიღებს. დასასრულ, მოსწავლეების მთავარი კითხვა დაბის ცენტრალურ გზაზე მდებარე სკოლებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას შეეხო. მათი აზრით, ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა ავტომობილების მოძრაობას დააჩქარებს, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის მოსწავლეთა თავისუფალ გადაადგილებას. საკითხთან დაკავშირებით გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის დამაკავშირებელი გზა დაბის ცენტრალურ ნაწილში გაივლის, თუმცა მოხდება საგზაო ნიშნების, ბორდიურებისა და სხვა დამცავი ინფრასტრუქტურის მოწყობა. შესაბამისად, ქვეითების უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნება დაცული. შეხვედრას ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის - „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის"- თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი, რომელმაც საინტერესო ვიდეორგოლებით გააცნო ახალგაზრდებს, თუ როგორ უნდა დაიცვან საგზაო წესები, რა ვალდებულებები და მოვალეობები აკისრიათ მოქალაქეებს ტრანსპორტით თუ ფეხით გადაადგილების შემთხვევაში. პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა ხარაგაულის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძემ და მადლობა გადაუხადა დეპარტამენტისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს საჭირო და საინტერესო საკითხთა პრეზენტაციისათვის.

ლელა გუგულაშვილი

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა აფრასიონ ლურსმანაშვილმა წარადგინა. მომხსენებ-

ლის ინფორმაციით, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური წარმოადგენს მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს: მერიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარებისა და მშენელობის საკითხების კოორდინაციას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა - ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, შესრულებული სამუშაოების ვადების კონტროლს, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს.

აფრასიონ ლურსმანაშვილმა სხდომაზე ყურადღება გაამახვილა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მათ საანგარიშო პერიოდში განახორციელეს. მისი ინფორმაციით, სამსახურის მიერ მშენებლობისათვის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემა მოხდა 5 სამშენებლო ობიექტზე. ამავე სამსახურის მიერ განხორციელდა სამშენებლო პროექტების შეთანხმება 19 სხვადასხვა ობიექტზე. სამსახური ასევე მუშაობს მოსაკრებლის ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანის საკითხზე. მიმდინარე წელს მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლიდან ბიუჯეტში შემოვიდა 45 359 ლარი.

2019 წლის საანგარიშო პერიოდში ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა რეაგირება მოახდინა გარემოს ეროვნული სააგენტოდან შემოსულ 11 წერილზე, რომლებიც შეეხებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში, სასმელი წყალი, მარმარილოსებრი კირქვა და ა.შ.) მოპოვების ლიცენზიას. მერიამ ლიცენზიის გაცემაზე დადებითი პოზიცია გამოხატა 5 ლოკაციაზე, უარყოფითის კი - ექვსზე.

აფრასიონ ლურსმანაშვილი აცხადებს, რომ ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე. რაც შეეხება თანამშრომლებს, სამსახურის უფროსის თქმით, ისინი დებულებით განსაზღვრული უფლება - მოვალეობის გარდა ჩართული არიან მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ სხვადასხვა კომისიის მუშაობაში.

როგორ შეაფასებენ დეპუტატები ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეულ მუშაობას, ამის შესახებ პირველ ივლისს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე გახდება ცნობილი.

თამარ მაღრაძე

ვეტერანი რაგბისტები ხარაგაულში - არა ძალადობას!

ხარაგაულის კინოთეატრში გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ფონდი ,,ტასოსა“ და რაგბის კავშირის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, მერის მრჩეველი გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, ინგა ბერაძე, ფონდი ,,ტასოს“ ხელმძღვანელი მარინა თაბუკაშვილი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი და ვეტერანი რაგბისტები ესწრებოდნენ.

როგორც შეხვედრაზე გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ანა ფაშალიშვილმა განაცხადა, ხარაგაულში ორი მიმართულებით - სოციალური მობილიზაციისა და ქალი მეწარმეების გაძლიერების მიმართულებით მუშაობენ. ოქტომბრის ბოლოს ორგანიზაცია საგრანტო კონკურსს გამოაცხადებს, სადაც ქალ მეწარმეებს შეეძლებათ მონაწილეობის მიღება.

შეხვედრა საინტერესო აღმოჩნდა ხარაგაულელი ახლად ჩამოყალიბებული რაგბის წევრებისთვის, რომლებსაც ვეტერანი რაგბისტები ნოდარ ანდღულაძე და ლექსო გუგავა თავიანთი წარმატების მიღწევის გზებზე ესაუბრნენ.

შეგახსენებთ, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, რაგბის კავშირთან ერთად, 2010 წლიდან ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ქვეყნის მასშტაბით ინოვაციურ კამპანიას ახორციელებს. რომლის მიზანი მოზარდებში რაგბის მთავარი ღირებულებების და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის გაზიარებაა.

ძირულა-მოლითის გზის 25-კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ძირულა-მოლითის გზის რეაბილიტაციას ახორციელებს. აღნიშნული მონაკვეთი ძირულა-ხარაგაული- მოლითი-ფონა -ჩუმათელეთის 50-კმ-იანი საავტომობილო გზის შემადგენელი ნაწილია. საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან კუპატაშვილი ადგილზე გაეცნო მიმდინარე სამუშაოებს. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია მოიცავს: ასფალტის საფარის მოწყობას, ხიდების, გზების, სადრენაჟე მილების, კიუვეტების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას, საყრდენი კედლების მშენებლობას, გზის მონიშვნასა და უსაფრთხოების ბარიერების მოწყობას. საავტომობილო გზის ეს მონაკვეთი ხარაგაულის მუნიციპალიტეტს E-60 ავტომაგისტრალთან აკავშირებს და მიუყვება მდინარეებს: ჩხერიმელას, ძირულას და ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის სარკინიგზო ხაზს. გზის რეაბილიტაციის შედეგად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 23000- მდე და გზის მიმდებარედ

განლაგებულ 13 სოფელში მცხოვრებ 7 000-მდე მოქალაქეს უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილების საშუალება ექნება.

მოსამზადებელი სამუშაოები ასევე დაწყებულია აღნიშნული გზის მეორე - მოლითი-ჩუმათელეთის 25 -კმ-იან მონაკვეთზე.

პროექტი აზიის განვითარების ბანკის მიერ ფინანსდება. ძირულა-მოლითის გზის რეაბილიტაციას კომპანია „black sea group“ ახორციელებს და მისი ღირებულება 51 467 681 ლარია. სამუშაოები 2020 წლის სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს.

მას თავდავიწყებით უყვარს საქართველო...

ჩემო ძვირფასო ხარაგაულელებო!

28 ივნისს ისრაელიდან ხარაგაულის ლიტერატურულ თეატრს ეწვევა ცნობილი კომპოზიტორი და ავტორ - შემსრულებელი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი, ისრაელის კომპოზიტორთა კავშირის წევრი, პოეტი, დრამატურგი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ისრაელის ხელოვანთა პროფესიონალური გაერთიანება „ემის" წევრი, ბატონი ალექსანდრე პელეგი თავისი დუეტით „ელეგია...“ მას თავდავიწყებით უყვარს თავის მეორე სამშობლო-საქართველო...

იშვიათად შემხვედრია მასზე მოაზროვნე, კეთილშობილი და ღირსეული პიროვნება...

ის ხარაგაულში გამართავს კონცერტს და შედგება მისი სიმღერის პრემიერა „ხარაგაულს...“

კონცერტის შესავალში ლიტერატურული თეატრი წარადგენს მცირე ნაწყვეტს ქართულ - ებრაული მეგობრობისადმი მიძღვნილი ვრცელი სპექტაკლიდან „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს...“

ბატონი ალექსანდრე პირველ კონცერტს 25 ივნისს გამართავს თბილისში, 28 ივნისს კი - ხარაგაულში... კონცერტი საქველმოქმედოა და ბატონი ალექსანდრე მას დიდი სიყვარულით უანგაროდ უძღვნის ხარაგაულსა და ხარაგაულელებს... დასაწყისი 5 საათზე...

მარტოოდენ მადლობა უფერული სიტყვაა...

ის ღირსეულთა შორის ღირსეული პიროვნება და ხელოვანია...

ბატონო ალექსანდრე, ამაყი ვარ თქვენი მეგობრობით!..

იზა ვეფხვაძე

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების ჩამონათვალს შესაძლოა, ციხისძირი დაემატოს

17 ივნისს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ იმსჯელეს. საკითხზე მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა ისაუბრა. მისი ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების ჩამონათვალს ციხისძირი უნდა დაემატოს. მისი თქმით, ციხისძირი გასულ წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლად მოიაზრებოდა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შესაძლოა, გაიზარდოს ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის სამოქმედო ტერიტორია (ბორითი, საქასრია, მაქათუბანი, უბისა, ერეთა, ვაშლევი, კვესრევი, ამაშუკეთი, ციხისძირი).

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე აღნიშნავს, რომ დასახლებაში 47 პიროვნება ცხოვრობს.

სხდომაზე ბაზალეთის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა სოფელ ღარიხევში შემავალი ბრუისის დასახლებისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების წინადადება დააყენა. მისი ინფორმაციით, დასახლება ჩიხურ მდგომარეობაშია მოქცეული და ღარიხევში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით სარგებლობას ვერ შეძლებს. მოთხოვნის საფუძვლად კი დეპუტატი მოსახლეობის წერილობით მომართვას ასახელებს. ასევე, ჭიპაშვილის ინფორმაციით, გასულ წლებში ისტორიულად ბრუისი ცალკე, ღარიხევისგან დამოუკიდებლად, მოიხსენიებოდა.

დაემატება თუ არა ციხისძირი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების ჩამონათვალს, ამის შესახებ ცნობილი პირველ ივლისს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე გახდება.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში ოლიმპიადის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გარბენი მოეწყო

ოლიმპიადის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხარაგაულში ოლიმპიური გარბენი მოეწყო. 30-მდე ხარაგაულელი ახალგაზრდა გარბენში ე.წ. „ხანდების“ მიმდებარე ტერიტორიიდან სპორტსკოლამდე შეეჯიბრნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც პირველი სამი ადგილის მფლობელი მონაწილეები გამოვლინდნენ.

პირველი ადგილი მიხეილ დალალიშვილმა დაიკავა, მეორე - ლუკა ცხვედაძემ, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ლევან ქისტაურს. ოლიმპიურ გარბენში მონაწილე

ახალგაზრდები ოლიმპიადის მაისურებით, სიგელებითა და სიმბოლური ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ხარაგაულში ოლიმპიადის საერთაშორისო დღე მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა (უფროსი ირინე ჩხეიძე) და ხარაგაულის სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი) ორგანიზებით გაიმართა.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორის: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12